



# არ ემ ჯი ჯგუფი

კომპანიის პროფილი

მარტი, 2022

## სარჩევი

არ ემ ჯი ჯგუფი.....	2
წინასტორია .....	2
RMG Gold.....	3
RMG Copper.....	4
მაინინგ ინვესტმენტს.....	4
კავკასიის სამთო ჯგუფი.....	5
არ ემ ჯი აურამაინი .....	6
ლეგალიზებული კანონდარღვევები .....	6
სამართალდარღვევების განხილვა სასამართლოში.....	10
რეაგირება მოტყუებით გადაწყვეტილების მოპოვების მცდელობაზე .....	10
სკოპინგის დასკვნა.....	11
გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება .....	13
სასამართლო დავა .....	16
დამკვიდრებული პრაქტიკა .....	17
წიაღით სარგებლობის ლიცენზიები .....	20

## არ ემ ჯი ჯგუფი

### წინასიტორია

მადნეულის ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალების საბადო მდებარეობს ბოლნისის რაიონში. საბადოს შესწავლა გასული საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო. 1959 წელს დაიწყო ფერადი ლითონების კომბინატის მშენებლობა. კომბინატის მშენებლობასთან დაკავშირებით, დაარსდა სამრეწველო დასახლება – დაბა კაზრეთი. 1975 წელს ექსპლუატაციაში შესული კომბინატი ახორციელებდა სპილენძის, ბარიტის, ოქრო-ვერცხლის შემცველი კვარციტებისა და პოლიმეტალური მადნების მოპოვებას, მოპოვებული სპილენძის და ბარიტის მადნების პირველად გადამუშავებას, გამდიდრებას და მიღებული პროდუქტის რეალიზაციას. ბარიტის მოპოვება 1990 წელს შეწყდა. 1994 წელს შეიქმნა “კვარციტი”, რომელმაც დაიწყო ცალკე დასაწყობებული ოქროსშემცველი კვარციტის მადნებიდან ოქროსა და ვერცხლის დორეს მიღება გროვული გამოტუტვის მეთოდით.

2005 წელს სს „მადნეულის“, შპს „კვარციტისა“ და მათთან დაკავშირებული არაერთი საწარმოს პრივატიზების შედეგად საწარმოების მფლობელი გახდა რუსული საფინანსო-სამრეწველო ჯგუფის „პრომიშლენიე ინვესტორის“<sup>1</sup> შვილობილი კომპანია - ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „სტენთონ იქვითიზ ქორფორეიშენს“. მაშინდელმა ხელისუფლებამ საზოგადოებას დაუმალა კომპანიის რეალური წარმომავლობა და პროცესი ქვეყანაში ბრიტანული ინვესტიციის შემოდინებად გაასადა. საგულისხმოა, რომ 2004 წლის ოქტომბრიდან სს „მადნეულის“ საწარმოს გენერალური დირექტორის პოსტს იკავებდა, „საწარმოების გაჯანსაღებისათვის“ სპეციალურად მოწვეული “პრომიშლენიე ინვესტორის” ვიცე-პრეზიდენტი, კობა ნაყოფია<sup>2</sup>. საწარმოების გასხვისების შემდეგ კობა ნაყოფია პოსტს დაუბრუნდა და 2004-2008 წ.წ.-ში „მადნეულისა“ და „კვარციტის“ გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციებს იკავებდა. ასევე, კობა ნაყოფია საკუთრებაში აღმოჩნდა „თბილისის საუველირო ქარხანა“, რომელიც პრივატიზების პროცესში გაქრა საპრივატიზაციო პაკეტიდან.

2007 წლის დეკემბერში „პრომიშლენიე ინვესტორმა“ “მადნეულსა” და „კვარციტში“ წილები კომპანია [GeoProMining](#)-ს მიყიდა, რომლის მფლობელი „პრომიშლენიე ინვესტორის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და თანამფლობელი, სიმან პოვარენკინი იყო. GeoProMining ასევე ფლობს სომხეთში სოტკის ოქროს საბადოს, აგარაკის სპილენძ-მოლიბდენის კარიერს და კომბინატს, ზოდის ოქროს საბადოს და არარატის ოქროს გამამდიდრებელ ფაბრიკას<sup>3</sup>.

2012 წლიდან კი საწარმოების მფლობელი კვლავ რუსი მილიარდერების [დმიტრი ტროიცი](#) და [დმიტრი კორჟევის](#) დეველოპერული კომპანია „[კაპიტალ ჯგუფი](#)“ გახდა. 2009 წლამდე ტროიცი და კორჟევი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ერთად იყვნენ ბანკ „სანქტ-პეტერბურგის“ თანამფლობელები. დმიტრი ტროიციის საკუთრებაა კომპანია „ნევა რუსი“, რომელიც შვილობილი კომპანიების მეშვეობით, ასევე სომხეთში არმანისის ოქრო-პოლიმეტალურ საბადოზე ფლობს წიაღის მოპოვების ლიცენზიას.

<sup>1</sup> კომპანიის მესაკუთრე და პრეზიდენტი რუსეთის სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი სერგეი გენერალოვია.

<sup>2</sup> 2008 წელს საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით მონაწილეობასთან დაკავშირებით, კობა ნაყოფიამ კვლავ კვლად დატოვა თანამდებობა. მე-7, მე-8 და მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრობის შემდეგ, ამჟამად, კობა ნაყოფია საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრთა სიაშია.

<sup>3</sup> [GPM Assets In Armenia](#)

ახალმა მფლობელმა კომპანიები გააერთიანა RichMetalGroup ჰოლდინგში, სს “მადნეულს” დაერქვა - არემჯი კოპერ (RMG Copper), ხოლო შპს „კვარციტს“ - არემჯი გოლდ (RMG Gold).

## RMG GOLD

საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, 2019 წლის ივნისამდე შპს RMG Gold-ის (ს/კ 225359947) მესაკუთრეები იყვნენ: კერძო მუზლდული პასუხისმგებლობის კომპანია Rich Metals Group B.V., რეგისტრირებული ნიდერლანდებში (წილის 96.21%) და სს RMG Copper (წილის 3.79%). 2019 წლის 10 ივნისს კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში შესული ცვლილებების თანახმად, Rich Metals Group B.V. ლიკვიდაციის გამო 96.21% მფლობელი გახდა ლიკვიდირებული კომპანიის ერთადერთი აქციონერი შპს მაინინგ ინვესტმენტს (ს/კ404415824). შპს მაინინგ ინვესტმენტსის მფლობელი კვიპროსში რეგისტრირებული შპს „ფემთილონ ჰოლდინგს ლიმიტიდა“.

შპს „მაინინგ ინვესტმენტს“-ის შესახებ საზოგადოებამ პირველად 2012 წლის თებერვალში გაიგო, როდესაც კომპანია ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამართული აუქციონის ერთადერთი მონაწილე აღმოჩნდა. აუქციონზე შიდა ქართლის რეგიონში ოქროს, სპილენძისა და სხვა ძვირფასი მინერალების შესწავლა-მოპოვებაზე 27 წლიანი ლიცენზია იყო გამოტანილი. შპს „მაინინგ ინვესტმენტსი“ თბილისში 2012 წლის 13 თებერვალს, აუქციონის ჩატარებამდე ორი კვირით ადრე დარეგისტრირდა და ლიტვის მოქალაქე ალვიდას ბრუსოკასი იყო მისი დირექტორი და ერთადერთი მფლობელი<sup>4</sup>.

არ შეცვლილა RMG Gold-ის სამეთვალყურეო საბჭო და მის წევრებად რჩებიან: **რუსი მილიარდერები დმიტრი ტროიცი** და **დმიტრი კორჟევი** და ირინა ნიკიფოროვა, ასევე რუსეთის მოქალაქე. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია - თორნიკე ლიპარტია.

RMG Gold არის საყდრისის ცნობილ საბადოზე წაიღითსარგებლობის ლიცენზიის მფლობელი.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია შპს RMG Gold-ის [2017](#), [2018](#), [2019](#) და [2020](#) წლების ინდივიდუალური წლიური ანგარიშები ქართულ და ინგლისურ ენაზე.

2020 წლის ანგარიშის თანახმად, კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია (96.21%-იანი საკუთრების წილით) არის საქართველოში რეგისტრირებული შპს "მაინინგ ინვესტმენტს", ხოლო კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა [Eulachon Limited](#), მენის კუნძულზე რეგისტრირებული კომპანია. კომპანიაზე საბოლოო კონტროლის მქონე მხარე არის დიმიტრი ტროიცი.

2020 წლის ანგარიშის თანახმად, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის მიერ დაანგარიშებული მარაგების სავარაუდო რაოდენობა იყო შემდეგი: საყდრისის საბადო - 10,897 ათასი ტონა (216 ათასი უნცია ოქრო) და 1,134 ათასი ტონა დამუშავებისთვის ვარგისი ბარიტის მადანი (25 ათასი უნცია ოქრო). ოქროს საშუალო ხარისხი საყდრისის ტერიტორიებზე ტონაზე 1.59 გრამია (გრ/ტ), ხოლო მადნეულის ტერიტორიაზე დამუშავებული მადნისთვის არის 0.292 გრ/ტ და ბარიტის მადნისთვის - 0.506 გრ/ტ.

<sup>4</sup> [‘წიათისეულის აუქციონმა ვერ შეძლო დიდი ინვესტორების მოზიდვა’ საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 1 მარტი, 2012](#)

## RMG COPPER

სს RMG Copper-ის მფლობელების შესახებ ინფორმაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან აქციის მფლობელების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას საქართველოს კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს. თუმცა, 2016 წლიდან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების ამოქმედებასთან დაკავშირებით სს RMG Copper-აც გაჩნდა საჯარო ფინანსური ანგარიშგების ვალდებულება და შეიძლება ითქვას, რომ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სს RMG Copper [2017](#), [2018](#), [2019](#) და [2020](#) წლის ფინანსური ანგარიშები ყველაზე მეტ ინფორმაციას მოიცავს კომპანიის მფლობელების შესახებ, რაც კი აქამდე საჯაროდ ხელმისაწვდომი გამხდარა.

სს RMG Copper-ის ფინანსური ანგარიშების თანახმად, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 99.6%-ის მფლობელი იყო Rich Metals Group B.V. (ნიდერლანდები), ხოლო საბოლოო მფლობელები იყვნენ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული „Suncort Enterprises Limited“ და „Ticola Holdings Limited“. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე ორი ფიზიკური პირი იყო - დიმიტრი ტროიცი და დიმიტრი კორჟევი, რომლებსაც ჰქონდათ უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი სარგებლისთვის წარმართათ კომპანიის ოპერაციები. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის 99.6%-ის მფლობელი იყო შპს „Mining Investments“-ი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანია და ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი კომპანიაა „Eulachon Limited“, მენის კუნძულზე რეგისტრირებული კომპანია. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი საბოლოოდ კონტროლდება ფიზიკური პირის მიერ - დიმიტრი ტროიციის მიერ. კომპანიის მშობელი კომპანიები არ გამოსცემენ საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშებს.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ „2019 წლის ბოლოს კომპანიას ჰყავს ორი შვილობილი კომპანია: შპს ბელაზ კავკაზ ტრანს და შპს ტრანს ფეთქ მზიდი, რომლებსაც არ აქვთ მნიშვნელოვანი ოპერაციები.

ანგარიშის თანახმად, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, მარაგების სავარაუდო რაოდენობა მადნეულის საბადოზე იყო 14,030 ათასი ტონა.

## მაინინგ ინვესტმენტს

შპს მაინინგ ინვესტმენტს (ს/კ404415824) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2012 წელს და ლიტვის მოქალაქე ალვიდას ბრუსოკასის მიერ რეგისტრირებული კომპანიაა. წლების განმავლობაში კომპანიაში სხვადასხვა ტიპის ცვლილებები განხორციელდა. 2015 წელს შპს მაინინგ ინვესტმენტს შეერწყა იმავე კომპანიის საკუთრებაში არსებული შპს მაინინგ დეველოპმენტს - ჯორჯია<sup>5</sup> (ს/კ404944414). სხვადასხვა დროს კომპანიის გენერალური დირექტორები იყვნენ რუსეთის მოქალაქე იური პილიპენკო, ვანტანგ

---

<sup>5</sup> 2012 წელს რეგისტრაციისას კომპანიის მფლობელი იყო კვიპროსზე რეგისტრირებული სპეციალური კო, ხოლო დირექტორი - სოლომონ ცაბაძე. ეს კომპანია თავის მხრივ ფლობდა შპს მინერალ რესურსიზ მენეჯმენტს (ს/კ 404944600), რეგისტრირებულია 15/05/2012, დირექტორი: ზურაბ ქუთელია. 2013 წელს კომპანია შეერწყა მფლობელს.

ფარესიშვილი<sup>6</sup>, რომელიც 11.12.2018-დან [საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილის](#)<sup>7</sup> თანამდებობას იკავებს და სოლომონ ცაბაძე.

დღეის მდგომარეობით კომპანიის 100%-იან წილს კვიპროსში დაარსებული Pamtilon Holdings Limited ფლობს. კომპანიის გენერალური დირექტორი რუსეთის მოქალაქე ვლადიმირ პეტროვია; ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან რუსეთის მოქალაქე დიმიტრი ტროიცკი, კახაბერ მჭედლიშვილი და ვლადიმირ პეტროვი.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე ინფორმაცია შპს მაინინგ ინვესტმენტს შესახებ გამოქვეყნებული არ არის.

## კავკასიის სამთო ჯგუფი

კომპანიებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ (ს/კ 404908775), რომელიც 2011 წლიდან (ფაქტიურად, რეგისტრაციის მომენტიდან) არის მანამდე სს „მადნეულისათვის“ ჩამორთმეული შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის<sup>8</sup> მფლობელი. „კავკასიის სამთო ჯგუფის“ მფლობელიც კვიპროსზე რეგისტრირებული კომპანია Pamtilon Holdings Limited-ია. კავკასიის სამთო ჯგუფის გენერალური დირექტორი ჯონდო შუბითიძეა. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აქაც რუსეთის მოქალაქე დიმიტრი კორჟევი, კახაბერ მჭედლიშვილი და ასევე, რუსეთის მოქალაქე ირინა ნიკიფოროვაა.

შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ ფლობს შპს „არ ემ ჯი აურამინის“ (405168740) 100% წილს და შპს „ჯორჯიან გოლდ კომპანის“ (405205987) 100% წილს, რომელთა გენერალური დირექტორი თორნიკე ლიპარტიია.

ასევე, „კავკასიის სამთო ჯგუფი“ ფლობს 100% წილს საქართველოში რეგისტრირებულ სს „ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდში“ (სკ 405117494).

სს „ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდის“ გენერალური დირექტორი ჯონდო შუბითიძეა. კომპანიის გენერალური დირექტორი 2016 წლის 18 ნოემბრამდე, ახლახან „ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პროექტისთვის“<sup>9</sup> პოსტიდან გადამდგარი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მანამდე, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე და პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, კახაბერ კუჭავა იყო. 2016 წლის 15 ნოემბერამდე კახაბერ კუჭავა, ასევე, იყო შპს „ამბრელა ენტერპრაიზის“ (404879798) 33% წილის მფლობელი (წილი 100 ლარად იყიდა ირაკლი კუჭავამ); ხოლო 2011 წლიდან 2016 წლის 11 ოქტომბრამდე იყო შპს „ამბრელა ენტერპრაიზის“ მიერ დაფუძნებული სს „კარლტონ ჯორჯიას“ (შემდგომში სს ZOPKHITO GOLD, ამჟამად სს „კავკასიის

<sup>6</sup> 2014 – 2017 წლებში იყო შპს „მაინინგ ინვესტმენტს“ (RMG ჯგუფი) - დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ამავე წლებში იგივე პოზიციას იკავებდა შპს RMG Gold-ში, სს RMG Copper-ში და კავკასიის სამთო ჯგუფში.

<sup>7</sup> საგულისხმოა, რომ 6.12.2018-დან [საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის თანამდებობას იკავებს სოსო რამიშვილი](#), რომელიც 21.02.2017-13.03.2018 პერიოდში შპს RMG Gold-ის და სს RMG Copper-ის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე იყო

<sup>8</sup> ლიცენზია გაცემულია ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალებისა და ბარიტის შესწავლა-მოპოვებისათვის. ლიცენზია გაცემულია 187 823, 59 ჰა ფართობზე რაც ქვეყნის საერთო ფართობის 2,7%-ია.

<sup>9</sup> [„მას ესმოდა დასაკლავი პარტნიორების ენა“ - კუჭავას წასვლა თუ გამჟება?](#), რადიო თავისუფლება, დეკემბერი 27, 2021

მინერალები“) დირექტორი, რომელმაც 2011 წელს ონის რაიონში ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი ლითონების და ბარიტის მოპოვება-შესწავლის 30 წლიანი ლიცენზია 990 000 ლარად მოიპოვა.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე ინფორმაცია მქს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ და არც მის საკუთრებაში არსებული კომპანიების შესახებ გამოქვეყნებული არ არის.

## **არ ემ ჯი აურამაინი**

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მქს „არ ემ ჯი აურამაინის“ (405168740) 100% წილს ფლობს მქს „კავკასიის სამთო ჯგუფი“. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის დიმიტრი ტროიციკი, რომელსაც უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი სარგებლისთვის წარმართოს კომპანიის ოპერაციები. კომპანიის გენერალური დირექტორია თორნიკე ლიპარტია.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებულია [2017](#), [2018](#), [2019](#) და [2020](#) წლის ფინანსური ანგარიშები.

კომპანია ფლობს წიაღის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიას ბექთაქარის მაღაროზე.

2020 წლის ფინანსური ანგარიშის თანახმად, 2019 წლის სექტემბრამდე კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავდა ბექთაქარის მაღაროს მშენებლობას. მადნის მოპოვების საბოლოო ნებართვა კომპანიამ 2019 წლის სექტემბერში და წარმოების პროცესებიც იმავე თვეში დაიწყო. 2019 წლის სექტემბრიდან, კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სპილენძის, ოქროს, თუთიის და ტყვიის შემცველი მადნის მოპოვებას. ბექთაქარის მაღაროს დამტკიცებულმა მარაგმა შეადგინა: 11,988 კგ ოქრო, 108,712 კგ ვერცხლი, 27,448 ტონა ტყვია და 57,528 ტონა თუთია. ანგარიშის თანახმად, „2018 წლის 8 ოქტომბერს, კომპანიამ შეცვალა სალიცენზიო ხელშეკრულება და მაღაროს მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადა გახანგრძლივდა 2024 წლიდან 2027 წლამდე. 2020 წლის 30 დეკემბერს, სალიცენზიო ხელშეკრულება კვლავ დაკორექტირდა, რის შედეგადაც მაღაროს მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადა გახანგრძლივდა 2027 წლიდან 2028 წლამდე“.

## **ლეგალიზებული კანონდარღვევები**

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქმიანობები, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე, შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინასწარი თანხმობის (2018 წლამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, 2018 წლის შემდეგ ე.წ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების) საფუძველზე. თუმცა, კანონის ამ მოთხოვნის შესრულება ყოველთვის სავალდებულო არ არის RMG ჯგუფში შემავალი კომპანიებისათვის; ხოლო შეუსრულებლობა არ ქმნის პრობლემებს. თუ კანონდარღვევა გამოქვეყნდა და დაკანონების, თუნდაც უკანონო, გზა.

2019 წლის 28 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [განცხადება](#) ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მქს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს ტერიტორიაზე, რეზერვუარ-სალექარის მოწყობის

პროექტის სკოპინგის ანგარიშის<sup>10</sup> საჯარო განხილვის თაობაზე. როგორც განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციიდან ირკვეოდა, 2019 წლის 21 მარტს შპს არემჯი აურამაინის გენერალურმა დირექტორმა თორნიკე ლიპარტიამ წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რომელითაც აცნობა, რომ კომპანიას **დაგეგმილი აქვს** ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობა და განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მოსაპოვებლად წარუდგინა ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიში.

2019 წლის 12 აპრილს სოფელ ბერთაქარში ჩატარდა **დაგეგმილი საქმიანობის** სკოპინგის ანგარიშის განხილვა, რომელსაც მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საჯარო განხილვის შემდეგ, ჩვენ მოვითხოვეთ საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება. როგორც ადგილზე გასვლის შედეგად გაირკვა არემჯი აურამაინს არა თუ დაგეგმილი, არამედ უკვე დამთავრებული ჰქონდა მშენებლობა. საპროექტო ტერიტორიაზე უკვე მოწყობილი იყო ორი სალექარი. აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ვაცნობეთ მინისტრს და შესაბამისი ნებართვის გარეშე სალექარის მშენებლობის ფაქტისა და სკოპინგის დასკვნის მოტყუებით მოპოვების გამოძიება მოვითხოვეთ. მწვანე ალტერნატივას საჩივარი მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილმა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გადაუგზავნა და კომპეტენციის ფარგლებში საკითხის შესწავლა სთხოვა.

საგულისხმოა, რომ ჩვენს მიერ მოგვიანებით გამოთხოვილ ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების სამმართველოს თანამშრომლის (რომელიც უძღვებოდა განხილვას) ან მისი ზემდგომის მიერ კანონდარღვევის ფაქტის შესახებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის შეტყობინების ფაქტს. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის განხილვის ოქმი მხოლოდ 2019 წლის 17 აპრილს შეადგინა და დაადასტურა გარემოსდაცვითი შეფასების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა დავით დემურიამ.

ოქმის თანახმად, „საჯარო განხილვის სხდომის დასრულების შემდგომ განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება. ადგილზე აღმოჩნდა, რომ კომპანიის მხრიდან თითქმის დასრულებული იყო 17800მ3-ის მოცულობის რეზერვუარი-სალექარის სამშენებლო სამუშაოები და დარჩენილი იყო მხოლოდ მცირე რაოდენობის ტექნოლოგიურ პროცესში გათვალისწინებული უბნების დაერთება და შემოწმება. ვიზუალური შეფასებით დათვალიერების პროცესში სალექარის ფორმირება დასრულებული იყო და ზედ განთავსებული იყო გომემბრანა, თუმცა ექსპლუატაციაში შესული ჯერ არ ყოფილა. ადგილზე მუშა მოსამსახურეების სიტყვიერი განმარტებით სამუშაოს განხორციელება **დაწყებული იყო რანდენიმე თვის წინ**“ [ანუ, სკოპინგის ანგარიშის წარდგენისას მშენებლობა უკვე დაწყებული იყო].

2019 წლის 15 აპრილს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს, ირაკლი მუკნიაშვილს, ასევე, მიმართა არასამთავრობო ორგანიზაციამ „საყდრისის კომიტეტი კულტურული მემკვიდრეობისთვის“. ორგანიზაციის წერილში აღნიშნული იყო: „სალიცენზიო ტერიტორიაზე გასვლისას დავაფიქსირეთ, რომ უკვე ამუშავებულია ორი სალექარი. ერთი 9500 კუბ.მ ტევადობის, ხოლო მეორე გაცილებით დიდი. კომპანიის წარმომადგენლები ცდილობდნენ დავერწმუნებინეთ, რომ საჯარო

<sup>10</sup> გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად, სკოპინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისათვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში ასახვის საშუალებებს;



განხილვაზე გამოტანილი პროექტის მიხედვით, თითქოს, იგეგმება მეორე სალექარის გაფართოება 17800 კუბ.მ მოცულობამდე, რაც, ჩვენი აზრით, უნებართვო მშენებლობის არსებობის დამალვის მცდელობაა“. 2019 წლის 23 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შემდგომი რეაგირების მიზნით გაუგზავნა საქართველოს პარლამენტის წევრის კახაბერ კუჭავას 2019 წლის 16 აპრილის წერილი, რომლის მიხედვით გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს ააიპ “საყდრისის კომიტეტი კულტურული მემკვიდრეობისათვის“ თავმჯდომარემ აცნობა, რომ 2019 წლის 12 აპრილს „საყდრისის კომიტეტის წევრები ესწრებოდნენ სკოპინგის ანგარიშის განხილვას და წარდგენილი პროექტით კომპანიის წარმომადგენლები ცდილობდნენ უნებართვო მშენებლობის დამალვას. მინისტრის მოადგილემ დეპარტამენტს სთხოვა საკითხის განხილვა.

**2019 წლის 24 აპრილს** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ნინო თანდილაშვილმა კვლავ მიმართა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და აცნობა, რომ გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტში სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით. მინისტრის მოადგილის წერილის თანახმად, 2019 წლის 12 აპრილს ადმინისტრაციულ წარმოების ეტაპზე მოეწყო სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა და საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება. საპროექტო ტერიტორიის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ ტერიტორიაზე მოწყობილია ორი სხვადასხვა მოცულობის რეზერვუარი-სალექარი. წერილის თანახმად, წერილს თან ერთვოდა პროექტის სკოპინგის ანგარიში, საპროექტო ტერიტორიაზე გადაღებული ფოტომასალას და არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ 2019 წლის 15 აპრილის N 09/01-210 წერილი.

საგულისხმოა, რომ 2019 წლის 12 აპრილს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ნინო თანდილაშვილმა მიმართა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს, სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს. წერილში აღნიშნული იყო „შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ, მიმდინარე წლის 21 მარტს N4343 წერილით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე, ტექნოლოგიური მიზნებისთვის 17800მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიში. გიგზავნით წარმოდგენილ პროექტის სკოპინგის ანგარიშს და Shape ფაილებს. გთხოვთ, კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ აღნიშნული კორესპონდენცია და მიმდინარე წლის 19 აპრილამდე გვაცნობოთ, პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ ტერიტორიებთან დაკავშირებით თქვენი შენიშვნები და მოსაზრებები“.

სამინისტროს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, მინისტრის მოადგილეს სსიპ-ებისთვის ადარ უცნობებია, რომ დაგეგმილი საქმიანობის უკვე განხორციელებულია. შესაბამისად, უწყებებმა მოსაზრებები კვლავ დაგეგმილ საქმიანობაზე გამოთქვეს. ასე, მაგალითად, გარემოს ეროვნული სააგენტო **2019 წლის 8 მაისის** წერილში უთითებს, რომ განსახილველი დოკუმენტი მომზადებულია “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მოთხოვნების შესაბამისად.

ვინაიდან საჩივარზე პასუხად არ მიგვიღია სამინისტროს გამომხაურება, **2019 წლის 10 მაისს** მოვითხოვეთ კანონდარღვევის ფაქტის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმებისა და ფაქტის შესწავლისათვის სამინისტროს მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ ინფორმაცია. პასუხი მხოლოდ **2019 წლის 3 ივლისს** მივიღეთ. წერილში აღნიშნული იყო:

„1. ადგილზე განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ მიწის ექსკავაციისას, კერძოდ გვირაბის პორტალის შესასვლელის, სალექარების, გვირაბის გაყვანის შედეგად წარმოქმნილი ფუჭი ქანების განთავსების, სამშენებლო მოედნამდე მისასვლელი გზის, სამშენებლო მოედანის მიმდებარედ ავტოსადგომის მოწყობისა და სხვა დამხმარე ნაგებობების მშენებლობის პროცესში, არ განხორციელდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და დასაწყობება "ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის, ასევე მე-11 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად;

2. როგორც იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 29 მაისის №185054 წერილით დადგინდა, სამშენებლო მოედნის მიმდებარედ არსებული ტერიტორია (უძრავი ნივთი), სადაც მოწყობილია ავტოსადგომი (ფართობი 500 მ<sup>2</sup>) საკუთრების უფლება არ არის რეგისტრირებული. აღნიშნული ნაკვეთი წარმოადგენს სახნავის კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, შესაბამისად, კომპანიის მიერ, მიწის გამოყენება ხდება არამიზნობრივად. ამდენად დადგინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე, 512 და 532-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 18 ივნისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №051570 და №051571 ოქმები. ასევე გამოანგარიშდა მიწების (ნიადაგის) დეგრადაციის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელმაც შეადგინა 1105,74 ლარი. ოქმები თანდართული მასალებით, განსახილველად დეპარტამენტის 2019 წლის 27 ივნისის №DES91900038224 და №DES41900038229 წერილებით, გადაეგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს.

3. ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, შპს "არ ემ ჯი აურამაინი" ვალდებული იყო, შეემუშავებინა კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა და შესათანხმებლად წარედგინა სამინისტროში, რაც კომპანიას არ განუხორციელებია.

4. ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, შპს "არ ემ ჯი აურამაინი" ვალდებული იყო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის №2-11 ბრძანების შესაბამისად, 2018 წელს წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია, ელექტრონულად <http://waste.moe.gov.ge>-ს მეშვეობით, 2019 წლის 1 მარტამდე, წარედგინა სამინისტროში, რაც კომპანიას არ განუხორციელებია. ამდენად დადგინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ ჩადენილია ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილით და 44-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 18 ივნისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №051573 ოქმი. რომელიც თანდართულ მასალებთან ერთად, დეპარტამენტის 2019 წლის 27 ივნისის №DES01900038144 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

5. ასევე გამოვლინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს წყლების შესაგროვებლად ბოლნისის მუნიციპალიტეტის, სოფ. ბერთაკარის მიმდებარედ, მოწყობილი აქვს 17 800 მ<sup>3</sup> მოცულობის სალექარი, თუმცა აღნიშნულ საქმიანობაზე არ გააჩნია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ამდენად, დადგინდა, რომ შპს "არ ემ ჯი აურამაინი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 18 ივნისს, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №051572 ოქმი, რომელიც თანდართულ

მასალებთან ერთად, დეპარტამენტის 2019 წლის 27 ივნისის №DES11900038172 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს.

### **სამართალდარღვევების განხილვა სასამართლოში**

ბოლნისის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას შპს „არემჯი აურამაინი“ ამტკიცებდა, რომ არ ჩაუდენია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლით გათვალისწინებული ქმედება - ანუ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ან სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება. აღნიშნულის სამტკიცებელად კომპანიამ წარადგინა 2017 წლის ივნისში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციის ამსახველი მიმოწერა, სადაც სამინისტრომ კომპანიას განუმარტა, რომ იმ დროს მოქმედი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონი არ მოითხოვდა სალექარის მოწყობისათვის ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას. საბედნიეროდ, სასამართლომ არ გაიზიარა კომპანიის ეს აბსურდული მტკიცება, თუმცა გაიზიარა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ავტოსადგომის მოწყობა წიაღით სარგებლობის ლიცენზიის სამთო მინაკუთვნის ფარგლებში, თურმე არ წარმოადგენს მიწის ნაკვეთის არამიზნობრივ გამოყენებას. საბოლოოდ, შპს არემჯი აურამაინი ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად და დაჯარიმდა 750 ლარით, იმის გამო, რომ მიწის ნაყოფიერი ფენა მოხსნა რეკულტივაციის გეგმის გარეშე და 7000 ლარით - გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე სალექარის მშენებლობის გამო. ვინაიდან კომპანიის მიერ ჩადენილი იყო რამდენიმე სამართალდარღვევა, რომლიც განიხილა ერთიდაიგივე ორგანომ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, საბოლოოდ დაედო სახდელი რომლიც გათვალისწინებული იყო უფრო სერიოზული დარღვევისათვის, ანუ - 7000 ლარი.

რაც შეეხება ნარჩენების მართვის კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას (შპს "არ ემ ჯი აურამაინი" ვალდებული იყო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 9 იანვრის №2-11 ბრძანების შესაბამისად, 2018 წელს წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია, ელექტრონულად <http://waste.moe.gov.ge>-ს მეშვეობით, 2019 წლის 1 მარტამდე, წარედგინა სამინისტროში), ამ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს "არ ემ ჯი აურამაინის" მიმართ შეწყდა საქმის წარმოება სახდელის დადებისათვის ვადის გასვლის გამო. თუმცა, კომპანია დაჯარიმდა ნარჩენების მართვის გეგმის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის გამო - 500 ლარით.

### **რეაგირება მოტყუებით გადაწყვეტილების მოპოვების მცდელობაზე**


მწვანე ალტერნატივა შეეცადა გაერკვია რა ზომები მიიღო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შპს „არ ემ ჯი აურამაინი“-ის მიერ სამინისტროსა და საზოგადოებისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებისა და ბექთაქარის საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე მოწყობილი რეზერვუარი-სალექარისათვის მოტყუებით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოპოვების მცდელობასთან დაკავშირებით. სამინისტრომ გვაცნობა, რომ „შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ განხორციელებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება და შედგენილი სამართალდარღვევების ოქმები განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის სასამართლოს“.

ვინაიდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხიდან ნათელი იყო, რომ სამინისტროს თანამშრომლებს არაფერი გაუკეთებიათ კომპანიის მიერ საზოგადოებისა და საჯარო უწყების მოტყუებით ნებართვის მოპოვების ფაქტზე რეაგირებისათვის, მწვანე ალტერნატივამ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს სამოხელეო გულგრილობის და/ან კორუფციული გარიგების

შესწავლის მოთხოვნით მიმართა. პასუხად მივიღეთ, შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის ჯემალ დონაძის პასუხი, რომელმაც აგვიხსნა, რომ სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციაა გარემოსდაცვითი კუთხით კანონდარღვევათა ფაქტებზე რეაგირება.

ბატონმა დონაძემ ასევე განგვიმარტა, რომ თუკი მიგვაჩნდა, რომ ადგილი ჰქონდა რაიმე სხვა სახის დარღვევას, შეგვეძლო მიგვემართა შესაბამისი ორგანოსათვის.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ“ მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის #61 დადგენილების თანახმად,



სისხლის სამართლის დანაშაულის სავარაუდო ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, ინსპექტირების აქტი ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და საქმის სხვა მასალები შემდგომი რეაგირებისათვის ეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს; ხოლო, თუ ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა სავარაუდო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელიც არ წარმოადგენს დეპარტამენტის კომპეტენციას და დეპარტამენტისათვის ცნობილია, რომელი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია, საქმის მასალებთან ერთად, შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს - რაც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა მოცემულ შემთხვევაში არ გააკეთა.

### სკოპინგის დასკვნა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არაფერი გააკეთა შპს არ ემ ჯი აურამაინის მიერ საზოგადოებისა და თავად სამინისტროს მოტყუების მცდელობის აღსაკვეთად. ნაცვლად ამისა, სამინისტრომ არათუ აღკვეთა, არამედ წაახალისა კიდეც მსგავსი ქმედება. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ არ მოითხოვა რეალური სიტუაციის ამსახველი სკოპინგის ანგარიშის წარდგენა. 2019 წლის 12 აპრილს გამართული თეატრალური დადგმა კი, რომელიც კომპანიამ საზოგადოებას მოუწყო, ამჯერად უკვე სამინისტრომ „საჯარო განხილვად“ გაასადა. სამინისტრომ თავად დაარღვია კანონი და უკვე მიმდინარე საქმიანობაზე გასცა სკოპინგის დასკვნა<sup>11</sup>.

ვიდრე ჩვენ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის საკითხის გამოძიების აუცილებლობაში დარწმუნებას ვცდილობდით, შემდეგ კი საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს, კახაბერ კუჭავას საპარლამენტო ზედამხედველობის ფარგლებში სამინისტროს ქმედებების შესწავლას ვთხოვდით, გარემოს დაცვისა და სოფლის

<sup>11</sup> “შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე [სკოპინგის დასკვნის](#) გაცემის შესახებ” გარემოს დაცვისა და სოფლი მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის #2-1010 [ბრძანება](#)

მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა მინისტრის ბრძანება „შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“. ბრძანების თანახმად, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-9 პუნქტის 9.9. ქვეპუნქტის საფუძველზე შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი-სალექარის **მოწყობის პროექტზე** სკოპინგის დასკვნა გაიცა. საგულისხმოა, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-9 პუნქტის 9.9. ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა გულისხმობს კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის **მშენებლობას**, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ<sup>3</sup>-ზე მეტია. ხოლო, შპს „არ ემ ჯი აურამაინს“ რეზერვუარი-სალექარი უკვე აშენებული ჰქონდა.

როგორც შემდგომში მოწოდებული დოკუმენტებიდან გავარკვევით, 2019 წლის 8 ივლისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს, ნინო თანდილაშვილს მიმართა შპს არემჯი აურამაინის გენერალურმა დირექტორმა თორნიკე ლიპარტიამ და მოითხოვა პროცესის გაგრძელება. წერილში აღნიშნული იყო, რომ 2019 წლის 12 აპრილის საჯარო განხილვის შემდეგ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ საწარმოო ტერიტორიის შემოწმება, რაზედაც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები. ვინაიდან მიმართვის მომენტისათვის შემოწმების პროცესი დასრულებული იყო შპს-მ მოითხოვა პროექტის განხილვასთან დაკავშირებული წარმოების განახლება. გაუგებარი იყო რას ეფუძნებოდა კომპანიის მოთხოვნა, ვინაიდან გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ არეგულირებს მსგავს სიტუაციებს, მაგრამ სამინისტროსთვის კომპანიის მოთხოვნა ლეგიტიმური აღმოჩნდა.

სკოპინგის დასკვნის წაკითხვისას არ დაგრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ობიექტი უკვე აშენებულია, ან სკოპინგის ანგარიშის განხილვის პროცესის კანონთან შესაბამისობის რაიმე პრობლემა არსებობდა. დასკვნაში აღნიშნულია, რომ „2019 წლის 12 აპრილს ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე მოეწყო სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა და საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება. საპროექტო ტერიტორიის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ ტერიტორიაზე მოწყობილია ორი სხვადასხვა მოცულობის რეზერვუარი-სალექარი. აღნიშნულთან დაკავშირებით ბექთაქარის ოქროს საბადოს ტერიტორიაზე რეზერვუარ-სალექარის მოწყობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა ადგილზე განხორციელა ინსპექტირება, რომლის შედეგად დაადგინა, რომ შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ ჩადენილია **სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევები**, რის საფუძველზეც დეპარტამენტის მიერ განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები“. ამ აბზაცს მოჰყვება საქმიანობაზე სკოპინგის დასკვნის სტანდარტული ტექსტი რომელიც მოიცავს **ნებისმიერი დაგეგმილი საქმიანობისათვის** გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებისათვის „გარემოსდაცვითი შეფასები კოდექსით“ გათვალისწინებული ინფორმაციის ჩამონათვალს. მხოლოდ ხაზგასმით დამატებული შემდეგი პუნქტი: „გზმ ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით“ - თითქოს რომელიმე სხვა შემთხვევაში შესაძლებელია, ასე არ იყოს.

## გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

რა თქმა უნდა, მწვანე ალტერნატივამ გაასაჩივრა მინისტრის სრულიად დაუსაბუთებელი და კანონსაწინააღმდეგო და თავისი არსით დანაშაულებრივი გადაწყვეტილება<sup>12</sup>. თუმცა, არც ეს აღმოჩნდა შემაფერხებელი არც „არ ემ ჯი აურამაინისათვის“ და არც სამინისტროსათვის. 2020 წლის 11 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა [განცხადება](#) ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800 მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მწვანე ალტერნატივა მოუწოდებდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უარი ეთქვა საქმიანობის განხორციელებისათვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემაზე, ვინაიდან:

1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, თუ:

- ა) საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან სასამართლოს/არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას;
- ბ) გზშ-ის ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათის და მოცულობის მიუღებლობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის შეუძლებლობა ან/და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა.

1.1. საქმიანობის განხორციელება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი-სალექარი უკვე აშენებული იყო და მშენებლობა განხორციელდა კანონის დარღვევით. მეტიც, შპს არ ემ ჯი აურამაინი შეეცადა დაემაღლა ეს ფაქტი პროექტზე სკოპინგის დასკვნის მოპოვებისას. საქმიანობის განხორციელების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან წინააღმდეგობა დადასტურებული იყო ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით.

1.2. ვინაიდან სალექარი უკვე აშენებული იყო, ამ ეტაპზე უკვე შეუძლებელი იყო გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენცია.

2. განსახილველად წარმოდგენილ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე [განცხადებაში](#) შპს არ ემ ჯი აურამაინის გენერალური დირექტორი თორნიკე ლიპარტია უთითებდა: „საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე წარმოგიდგინებ „შპს „არემჯი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს“ და გთხოვთ კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად და ვადების ფარგლებში გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება“.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 და მე-11 მუხლები და ამავე კანონით გათვალისწინებული პროცედურა ითვალისწინებს **მხოლოდ დაგეგმილი და არა უკვე**

<sup>12</sup> [სარჩელი წარდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოში 2019 წლის 6 დეკემბერს](#). საქმე მოსამართლე მერი გულუაშვილს უნდა განეხილა.

**განხორციელებული** საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

2.1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად (3) გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

ა) **დაგეგმილი საქმიანობის** აღწერას;

ბ) ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული **დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული ალტერნატივის შესახებ**, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით;

გ) ინფორმაციას **დაგეგმილი საქმიანობის** განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე (მათ შორის, ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა, ხარისხი), ჰაერზე, ნიადაგზე (მათ შორის, ნიადაგის მოხსნა), მიწაზე (მათ შორის, ორგანული ნივთიერებები, ეროზია, დატკეპნა, დეგრადაცია), კლიმატზე (მათ შორის, სათბურის გაზების ემისია), ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის, არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ;

დ) ინფორმაციას ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტებსა და მათ ურთიერთქმედებაზე **დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით** შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ;

ე) ინფორმაციას **დაგეგმილი საქმიანობის** განხორციელების შედეგად შესაძლო ინციდენტების განსაზღვრისა და მათი შედეგების შეფასების შესახებ, მათ შორის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმას;

ვ) სამოქმედო გეგმას **დაგეგმილი საქმიანობის** განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების, მათი თავიდან აცილების, შემცირების, შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებათა შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს;

ზ) გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ქრილში;

თ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ;

ი) **დაგეგმილი საქმიანობის** განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერას, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;

**კ) სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასებას;**

განსახილველად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო და ვერც იქნებოდა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად გადაწყვეტილების მიღებისათვის კანონით სავალდებულო ინფორმაცია, ვინაიდან საქმიანობა

არა დაგეგმილი, არამედ უკვე განხორციელებული იყო, გარემოზე ზემოქმედება არა მოსალოდნელი, არამედ უკვე მომხდარი და მიმდინარე იყო.

2.2. უკვე მიმდინარე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ითვალისწინებს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ხდება ეკოლოგიური აუდიტის (და არა გზმ-ს საფუძველზე, რომელიც მხოლოდ დაგეგმილის საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურაა) საფუძველზე, რომელიც გულისხმობს ამ საქმიანობის ტექნიკური, ეკოლოგიური და სოციალური მაჩვენებლების კომპლექსურ ანალიზს, რომელიც მოიცავს მთელ საწარმოო-ტექნოლოგიურ ციკლს, ტარდება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების საშუალებების დადგენისა და აღნიშნული საქმიანობის გარემოსდაცვით ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, კოდექსის თანახმად, ასეთი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ისეთ საქმიანობებზე, რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო და რომლებსაც არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება (47-ე მუხლი). ამასთან, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად კომპანიას სამინისტროსათვის 2019 წლის 1 ივნისამდე უნდა მიემართა.

ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, კანონმდებლობის უხეში დარღვევით, გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება „შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 17800მ<sup>3</sup> მოცულობის რეზერვუარი-სალექარის ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“<sup>13</sup>.

გარდა იმისა, რომ სკოპინგის დასკვნაც და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებაც უკვე განხორციელებულ უკანონო საქმიანობაზეა გაცემული, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ მინისტრის ბრძანებით კომპანიას დაევალა პოსტ ფაქტუმ იმ ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც, როგორც დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შესწავლისას, ისე მიმდინარე საქმიანობის ეკოლოგიური აუდიტის ჩატარებისას, კრიტიკულად მნიშვნელოვანია და კანონით სავალდებულო იყო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე. ამ ტიპის ინფორმაცია გადამწყვეტია პროექტის განხორციელების შედეგად გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობებისათვის შექმნილი საფრთხის დონისა და ამ საფრთხის შემსუბუქებისა, თუ თავიდან არიდების შესაძლებლობების განსასაზღვრად. კერძოდ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობების თანახმად:

- შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში მასტური წყლების მძიმე მეტალებით და მჟავით დაბინძურების რისკის შეფასებისა და მინიმიზაციის მიზნით უნდა უზრუნველყო მადნის მიერ მჟავის წარმოქმნის პოტენციალის განსაზღვრა და შედეგების სამინისტროში განსახილველად წარდგენა;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში სამინისტროში შესათანხმებლად უნდა წარედგინა მდინარეების მაშავერას და ხრამის ფონური მონაცემები, აგრეთვე ობიექტის ტერიტორიაზე გრუნტის წყლების, ხოლო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე ნიადაგის ხარისხობრივი მონაცემები მძიმე მეტალების (სპილენძი, თუთია, კადმიუმი) შემცველობაზე;

<sup>13</sup> გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 17 ივლისის N2-630 [ბრძანება](#)



- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში სამინისტროში შესატანხმებლად უნდა წარედგინა ინფორმაცია სალექარის ტერიტორიაზე მტვრის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში სამინისტროში უნდა წარედგინა სალექარის შლამისაგან გაწმენდის პერიოდულობის, ამოღებული შლამის მოცულობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე ფუჭი ქანების დასაწყობების ადგილის (ფართობის) შესახებ ინფორმაცია კოორდინატების მითითებით;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს სამონიტორინგო ჭაბურღილების ადგილის კოორდინატებისა და პარამეტრების შესახებ ინფორმაციის სამინისტროში განსახილველად წარდგენა.

როგორც ჩამონათვალიდან ნათლად ჩანს, გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე არ არსებობდა უმნიშვნელოვანესი მონაცემები გარემოს მდგომარეობისა და შესაძლო რისკების შესახებ; თუმცა არც ეს და არც მანამდე ჩადენილი უხეში კანონდარღვევები არ გამხდარა შემაფერხებელი გარემოება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრისათვის მიედო, ასევე, სრულიად უკანონო გადაწყვეტილება.

2020 წლის 13 სექტემბერს მწვანე ალტერნატივამ მინისტრის ეს გადაწყვეტილებაც გაასაჩივრა; ორგანიზაციამ საქალაქო სასამართლოს მიმართა და შპს „არ ემ ჯი აურამინის“ უკანონოდ აშენებული სალექარის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა<sup>14</sup>.

## სასამართლო დავა

ამჟამად, სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ მინისტრის ბრძანების და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ მინისტრის ბრძანების გაუქმების მოთხოვნით მიმდინარე დავები გაერთიანებულია და მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი არგუმენტი<sup>15</sup> გასაჩივრებული ბრძანებების კანონიერების სასარგებლოდ არის, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისას სავალდებულოა არა მხოლოდ მშენებლობის, არამედ ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. სამინისტროს განმარტებით, მართალია, მშენებლობა უკვე დასრულებული იყო, მაგრამ ობიექტი არ იყო ექსპლუატაციაში შესული და „საქმიანობა არ იყო დაწყებული“, ამიტომ სამინისტრო უფლებამოსილი იყო ემსჯელა „საქმიანობის“ გარემოზე ზემოქმედების დასაშვებობაზე. ამ განმარტებაში მთელი სისრულით ჩანს სამინისტროს თანამშრომლების კოდექსის დებულებების უკიდურესად შეზღუდული ცოდნა. კოდექსის მიზნებისათვის საქმიანობა არის: „სამშენებლო, საწარმოო და სამონტაჟო სამუშაოები, ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა, მათ შორის, მინერალური რესურსების მოპოვება/გადამუშავება, რომელიც გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე“; და არა აშენებული საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლა, როგორც ამას სამინისტრო განმარტავს თავის შესაგებულში. ასევე, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ ითვალისწინებს საქმიანობის რომელიმე ეტაპის განცალკევებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესაძლებლობას, პირიქით, საქმიანობის გარემოზე

<sup>14</sup> [დავის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია მწვანე ალტერნატივას ვებ-გვერდზე.](#)

<sup>15</sup> [გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაგებელი](#)

ზემოქმედება ფასდება მშენებლობის, ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციის დასრულების შემდეგ პერიოდშიც.

რაც შეეხება არ ემ ჯი აურამაინის პოზიციას, კომპანია აგრძელებს საზოგადოების და ახლა უკვე სასამართლოს მოტყუებას. კომპანია ამტკიცებს, რომ სალექარის მშენებლობა დაიწყო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ამოქმედებამდე (2018 წლის 1 იანვრამდე), როდესაც საქმიანობა არ ექვემდებარებოდა ეკოლოგიურ ექსპერტიზას. მაგრამ რადგან სალექარის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნებოდა გარემოზე ზემოქმედებას, ამიტომ კომპანიამ მიზანშეწონილად ჩათვალა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოპოვება. კომპანია ამტკიცებს, რომ მინიმუმ 1,5 წლის განმავლობაში აშენებდა სალექარს, მაშინ როდესაც საჯარო განხილვის შემდეგ სამინისტროს წარმომადგენლის მიერ გამოკითხულმა კომპანიის თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ სამშენებლო სამუშაოები რამდენიმე თვის წინ (ანუ, კოდექსის ამოქმედების შემდეგ) იყო დაწყებული. მეტიც, კომპანიამ მაღალი გარემოსდაცვითი სტანდარტით სარგებლობაზეც კი გამოთქვა პრეტენზია<sup>16</sup>.

### **დამკვიდრებული პრაქტიკა**

საგულისხმოა, რომ აბსოლუტურად იდენტური სიტუაცია იყო 2014 წელს RMG Gold-ის მიერ გამოსატუტი მოედნების მშენებლობასთან დაკავშირებით. RMG Gold-მა ჯერ ააშენა გამოსატუტი მოედნები, ხოლო შემდეგ მშენებლობისათვის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია ჯერ დაინტერესებულ საზოგადოებასთან განიხილა და შემდეგ სამინისტროში წარადგინა ნებართვის მოსაპოვებლად. სტუდენტური მოძრაობა „მწვანე მუშტის“ დამსახურებით<sup>17</sup> საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა კომპანიის მიერ საზოგადოებისა და სამინისტროს მოტყუებით ნებართვის მოპოვების მცდელობის შესახებ, თუმცა ეს არ გამხდარა საჯარო უწყებების მხრიდან რეაგირების საფუძველი. ნაცვლად ამისა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ კომპანიას შესაძლებლობა მისცა გაეხმო წარდგენილი განცხადება დოკუმენტაციაში ტექნიკური ცვლილებების საჭიროების საბაბით; ხოლო მოგვიანებით მისცა კომპანიას უკვე აშენებული ობიექტის ექსპლუატაციის უფლება მისცა. მაშინაც კომპანიამ არ წარადგინა გადაწყვეტილების მიღებისათვის კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით<sup>18</sup>, მაშინაც, გადაწყვეტილების მიღებისათვის არაერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის პოსტ ფაქტუმ წარდგინა დაევალა. თუმცა, კომპანიამ არც ამ გადაწყვეტილების პირობების დაცვა უზრუნველყო. 2015 წლის დეკემბერში დაწყებული შემოწმების შედეგად სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა დაადგინა, რომ შპს „RMG Gold“ მიერ დარღვეული იყო სანებართვო პირობები. გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრისათვის კომპანიას განესაზღვრა გონივრული ვადები (2018 წლის 10 აპრილის #000906 ადმინისტრაციული მიწერილობა). მალევე, კომპანიამ მოისურვა საქმიანობის გაფართოვება, რისთვისაც საჭირო გახდა ახალი გადაწყვეტილების მიღება.

ამჯერად კომპანია შეეცადა თავი აერიდებინა 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი პროცედურისათვის და სამინისტრომ მას ამ მიზნის მიღწევაში მხოლოდ ხელი შეუწყო.

<sup>16</sup> შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მოსაზრება

<sup>17</sup> "მწვანე მუშტი" მთავრობას მიმართავს და საყდრისი ახალ ფოტოებს ავრცელებს, 13 იანვარი 2014, [ლიბერალი](#)

<sup>18</sup> „შპს „RMG Gold“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (საყდრისი საბადოს მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაცია) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 3 აპრილის #ი-193 ბრძანება.

2018 წლის 1 იანვარს ამოქმედდა 2017 წლის 1 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“. კოდექსი ადგენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი საქმიანობების განხორციელებამდე, საქმიანობის ინიციატორის მიერ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) ჩატარების, ასევე, ამ შეფასების საფუძველზე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს. კოდექსში გაწერილი ეს პროცედურები სრულიად განსხვავდება კოდექსის ამოქმედებამდე, მისი წინამორბედის – „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით – დადგენილი პროცედურებისგან. კოდექსით შემოტანილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიახლედ განიხილება ის, რომ 10-წლიანი პაუზის შემდეგ, საქართველოს მოქალაქეებს კვლავ შეუძლიათ გამოხატონ აზრი და მონაწილეობა მიიღონ ისეთი პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიღებით, საქართველომ, ერთი მხრივ, აღმოფხვრა კანონმდებლობის ის მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომელთა გამოც ხელისუფლება, ბოლო ათი წლის განმავლობაში, მუდმივი კრიტიკის ქვეშ იყო, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ; მეორე, მხრივ, საქართველომ დაუახლოვა თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის რამდენიმე დირექტივით დადგენილ მოთხოვნებს. 2018 წლის 1 იანვარს კი, დადგა ის დრო, როდესაც გარემოსდაცვით უწყებას საქმით უნდა დაემტკიცებინა, რომ ის მართლაც მზად იყო დაენერგა კოდექსით დადგენილი პროგრესული მიდგომები. თუმცა, პრაქტიკაში აღმოჩნდა, რომ სამინისტრო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ამოქმედების შემდეგაც ცდილობდა უკვე ძალადაკარგული კანონით ნებართვების გაცემას გარკვეულ საწარმოებზე და მათ რიცხვში იყო RMG Gold.

2019 წლის 23 იანვარს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება №2-71, რომლითაც დამტკიცდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „RMG Gold“-ის არსებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციასა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება). ბრძანების თანახმად, გადაწყვეტილების მიღება მოხდა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, 2018 წლის 1 იანვრამდე (ანუ კოდექსის ამოქმედებამდე) ნებართვის გაცემისთვის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცედურები უნდა დასრულებულიყო წარმოების დაწყების მომენტისთვის მოქმედი წესების, ანუ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

შპს RMG Gold-ის არსებულის საყდრისის გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის პროექტის შესახებ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ - 2018 წლის 25 ოქტომბერს; თუმცა, სამინისტრომ გადაწყვეტილების მიღებისათვის იხელმძღვანელა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონით დადგენილი, ასეთი შემთხვევებისათვის უკვე ძალადაკარგული წესით. ამით სამინისტრომ კომპანიას აარიდა რამდენიმე ეტაპიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი და საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძვლიანი შესწავლის ვალდებულება, ხოლო დაინტერესებულ საზოგადოებას კვლავ შეუზღუდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა.

მწვანე ალტერნატივამ გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-71 ბრძანება. საქმეს განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიის მოსამართლე თამარ მეშველიანი. 2019 წლის 19 აპრილს სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული. ეს იყო ერთადერთი და ბოლო მოქმედება საქმის განხილვისათვის სარჩელის წარდგენიდან სრული სამი წლის განმავლობაში. მანამდე, კი RMG Gold აგრძელებს კანონისა და ნებართვით დადგენილი პირობების დარღვევას. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა შეამოწმა შპს „RMG Gold“-ის (ს/ნ 225359947) კუთვნილი „საყდრისი“-ს გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის № 2-71 ბრძანებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულებებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობა.

„ადგილზე განხორციელებული ინსპექტირების, კომპანიის და სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კამერალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შპს „RMG Gold“-ის არ აქვს შესრულებული „საყდრისის“ გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციისა და ექსპლუატაციის პირობების შეცვლაზე - მოედნების გაფართოებაზე (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 იანვრის №2-71 ბრძანებით დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულებები და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმები ინსპექტირების დასრულების შემდეგ, 2021 წლის 19 ივლისს, შედგა შემოწმების შესახებ №003482 ინსპექტირების აქტი, ხოლო გამოვლენილ დარღვევებზე შპს „RMG Gold“-ის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №064452 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 798 -ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ოქმი, თანდართული მასალებით, დეპარტამენტის 2021 წლის 21 ივლისის №DES22100044588 წერილით, განსახილველად გადაიგზავნა შესაბამის სასამართლოში.

ამასთან, დმანისის რაიონული სასამართლოს დადგენილებით, შპს „RMG Gold“ ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 798 -ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და დაეკისრა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული დადგენილება გასაჩივრდა შპს „RMG Gold“-ის მიერ და დღეს არსებული მდგომარეობით დადგენილება არ არის შესული კანონიერ ძალაში.

ამასთან, ინსპექტირების პროცესში განხორციელდა კომპანიის მიერ გაყვანილი გზის 4.1 კმ მონაკვეთის აგეგმვა. ინსპექტირებისას აღებული GPS კოორდინატები დამუშავდა GIS-სისტემაში და დადგინდა, რომ შპს „RMG Gold“ გზის მშენებლობის სამუშაოების ჩატარებისას გასცდა ტყით სპეციალური სარგებლობით დადგენილ კონტურებს და მოიცვა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო ტყის 2.4609 მ (2.46 ჰა) 2 ფართობის ტერიტორია.

ასევე დადგინდა, რომ მითითებულ ფართობზე უკანონოდ ამოძირკვულია 160 (ას სამოცი) ძირი მუხის (გაბატონებული სახეობის) სახეობის ხე, საერთო მოცულობით 78,64მ<sup>3</sup>. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის № 54 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის "გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“-ს შესაბამისად გამოანგარიშდა 78,64 მ ხე-ტყის 3 უკანონო ჭრით გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა, რომელმაც შეადგინა 28310,40 ლარი, რაც ამავე მეთოდიკის შესაბამისად განეკუთვნება მნიშვნელოვანი ზიანის კატეგორიას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ფაქტი შეიცავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, საქმის

## RMG - კომპანიის პროფილი, 2022

მასალები დეპარტამენტის 2021 წლის 22 ივლისის № DES32100044976 წერილით გადაეგზავნა საქართველოს პროკურატურას შემდგომი რეაგირების მიზნით<sup>19</sup>.

ამდენად კანონის დარღვევით საქმიანობის განხორციელების უფლების მოპოვება RMG ჯგუფის კომპანიებისათვის უკვე კარგად ნაცადი გზაა და საჯარო უწყებებიც მონდომებით უწყობენ ხელს ამ პრაქტიკის დამკვიდრებას.

## წიაღით სარგებლობის ლიცენზიები

არემჯი ჯგუფში შემავალი კომპანიების საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიები - ამონარიდი წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების რეესტრიდან<sup>20</sup>.

#	ლიცენზიის ნომერი	ობიექტის დასახელება	ლიცენზიის მფლობელი	რეგისტრაციის და მოქმედების ვადა	რესურსის მოცულობა	ფართობი	გადაცემა
1	1002122	სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვება ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში	შპს RMG Gold	25.11.14 02.01.42 ლიცენზიის დაწყება 01.01.15		193.76 ჰა	1000577 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს „მაინინგ ინვესტმენტს“-მა 1001028 ლიცენზიის ცვლილება შპს „Mining Investments Gold“-ზე გაცემული 1001539 ლიცენზიის ცვლილება (შერწყმა)
2	10001309	სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვება ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები	სს ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდი	20.02.20 13.10.41	შესწავლის ვადა 72 თვე (1 წელი, 10 თვე, 8 დღე)	ადმოსავლეთი - ქვემო ბოლნისის უბანი, ფართობით 292, 73 ჰა და დამბლუდის უბანი, ფართობით 80, 47 ჰა, საერთო ფართობით 373,2 ჰა	შევიდა ცვლილება ბრძ.№414 23.10.13წ. შევიდა ცვლილება (შესწავლის ვადა გაუზარდა) ბრძ.#1784/ს 10.11.15წ. 1000226 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“-მა. 1003161 ლიცენზიიდან ცალკეული ფართობების ამორიცხვა (ლიცენზიის ნაწილის გაუქმება) ს/კ -ის შესწორება 1003161 ლიცენზიის ცვლილება
3	1004034	„ბექთაქარის“ ოქრო-	შპს არ ემჯი	19.10.16 13.10.41	ბექთაქარის საბადო:	სამთო - 345,7939 ჰა	შევიდა ცვლილება ბრძ.№414 23.10.13წ.

<sup>19</sup> გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი #11953/01, 19/11/2021

<sup>20</sup> [წიაღით სარგებლობის ლიცენზიების რეესტრი 2021 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით](#). დოკუმენტი მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე ხელმისაწვდომია წიაღის ეროვნული სააგენტოში

RMG - კომპანიის პროფილი, 2022

		პოლიმეტალური საბადოდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ბოლნისის მუნიციპალიტეტში	აურამაინ		ოქრო-11987.87კგ, ვერცხლი-108712კგ, ტყვია-27448ტ, თუთია-57528ტ	მიწა - 309.849 ჰა	შევიდა ცვლილება (შესწავლის ვადა გაუზარდა) ბრძ.#1784/ს 10.11.15წ. 1000226 ლიცენზიის ნაწილი გადასცა სს ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდს 1003160 ლიცენზიის ცვლილება (მოპოვება) 1003998 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს კავკასიის სამთო ჯგუფმა
4	1004600	„ბნელი ხევის“ ოქრო-პოლიმეტალური საბადოდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში	შპს ჯორჯიან გოლდ კომპანი	31.05.17 13.10.41	საბადოს ჩრდილო-აღმოსავლეთ უბანზე - ოქრო-1635.07 კგ, ვერცხლი-8503.79 კგ	სამთო - 239.4021 ჰა, მიწის - 504.6677 ჰა	შევიდა ცვლილება ბრძ.№414 23.10.13წ. შევიდა ცვლილება (შესწავლის ვადა გაუზარდა) ბრძ.#1784/ს 10.11.15წ. 1000226 ლიცენზიის ნაწილი გადასცა სს ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდს 1003160 ლიცენზიის ცვლილება (მოპოვება) 1003998 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს არ ემ ჯი აურამაინს 1004035 ლიცენზიაში ცვლილება (მარაგები დამტკიცდა) 1004318 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს კავკასიის სამთო ჯგუფმა
5	1005299	„ღიღი დმანისის“ მეორადი კვარციტების მოპოვება დმანისის მუნიციპალიტეტში	შპს RMG Gold	07.03.18 21.12.25	მინიმუმ 90000 ტონა/წელიწადში	10.0 ჰა	წიაღით სარგებლობის 0673 ლიცენზია მთლიანად გადასცა შპს სამშენებლო მასალებმა
6	10002084	სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა-მოპოვება ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები	შპს კავკასიის სამთო ჯგუფი	31.05.21 13.10.41	დავით-გარეჯის ოქრო-ბარიტ-პოლიმეტალური საბადო: ვერცხლი-108.93ტ (108930კგ), ბარიტი-895191.59ტ დანარჩენ უბნებზე შესწავლის ვადა - 120 თვე „მუშევანი 2“-ის ოქრო-სპილენძის	100865.4594 ჰა	შევიდა ცვლილება ბრძ.№414 23.10.13წ. შევიდა ცვლილება (შესწავლის ვადა გაუზარდა) ბრძ.#1784/ს 10.11.15წ. 1000226 ლიცენზიის ნაწილი გადასცა სს „ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდი“-ს 1003160 ლიცენზიის ცვლილება (მოპოვება) 1003998 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ს 1004035 ლიცენზიაში ცვლილება (მარაგები დამტკიცდა) 1004318 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს „ჯორჯიან გოლდ კომპანის“ 1004601 ლიცენზიის

**RMG - კომპანიის პროფილი, 2022**

					საბადოზე: ოქრო - 3 332, 35კგ, ვერცხლი - 10 313, 81კგ, სპილენძი - 7 690, 18ტ		ცვლილება (შესწავლის ვადის გაზრდა) 1005314 ლიცენზიის ცვლილება
7	1005456	სასარგებლო წიაღისეულის (ფერადი, კეთილმოზილი, იშვიათი მეტალები და ბარიტი) შესწავლა- მოპოვება (ბოლნისის მუნიციპალიტეტ ში)	სს RMG Copper	10.05.18 16.04.41	ოქრო - 1804.6912 კგ; ვერცხლი-64 900.344 კგ; სპილენძი- 26815.06ტ; ოქრო - 1691.16 კგ	1035.5 ჰა	1000577 ლიცენზიის ნაწილი გადასცა შპს „მინინგ ინვესტმენტს“-მა იჯარით გადასცა სს „დ MG ჩოპერ“-ს 2014 წლის 12 ივლისის ჩათვლით შპს „Mინინგ ინვესტმენტს ჩოპერ“-ზე გაცემული 1001030 ლიცენზიის ცვლილება 1002121 ლიცენზიის ცვლილება (დამტკიცდა მარაგები) 1004727 ლიცენზიის ცვლილება (დამტკიცდა მარაგები) იჯარა გაგრძელდა 31.12.23წ.

2021 წლის 2 ნოემბერს მივმართეთ წიაღის ეროვნულ სააგენტოს (ამჟამად მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს) და მოვითხოვეთ შპს RMG Gold-ის , სს RMG Copper-ის, სს ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდის, შპს არ ემ ჯი აურამაინის , შპს ჯორჯიან გოლდ კომპანის, შპს Mining Investments-ის, შპს Mining Investments Copper-ის და შპს კავკასიის სამთო ჯგუფის საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიებთან დაკავშირებული შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

- პირობების შესრულების 2020 წლის ანგარიშები;
- შესწავლა-მოპოვების ლიცენზიების შემთხვევაში 2019-2021 წლის განმავლობაში მარაგების დამტკიცებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაციის ასლი (წარდგენილი ანგარიშები, და მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის განხილვის ოქმები და შესაბამისი გადაწყვეტილებები/აქტები);
- 2019-2021 წლების განმავლობაში შემოწმების ამსახველი დოკუმენტაცია;
- 2020-2021 წლის განმავლობაში კომპანიებთან კომუნიკაციის ამსახველი ყველა დოკუმენტი;

თუკი, მოთხოვნილი ინფორმაციის რომელიმე ნაწილი არ გადმოგვეცემოდა, ვითხოვდით ეცნობებინათ კონკრეტულად რომელი დოკუმენტი (ან დოკუმენტის ნაწილი) რა საფუძველით არ გადმოგვეცემა. ასევე, თუკი მოთხოვნილი დოკუმენტები შეიცავდა კომერციულ ინფორმაციას, ვითხოვდით კანონით დადგენილი წესით საჯარო ნაწილის გამოცალკევებას და გადმოცემას.

წიაღის ეროვნულ სააგენტოს 2021 წლის 3 ნოემბერსაც მივმართეთ და მოვითხოვეთ შპს RMG Gold-ის , სს RMG Copper-ის, სს ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდის, შპს არ ემ ჯი აურამაინის , შპს ჯორჯიან გოლდ კომპანის, შპს Mining Investments-ის, შპს Mining Investments Copper-ის და შპს კავკასიის სამთო ჯგუფის საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიებთან დაკავშირებით „ტექნიკური რეგლამენტი - წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის

დამუშავების ტექნოლოგიური სქემის და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესის“ შესაბამისად მომზადებული და სააგენტოში წარდგენილი:

- წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტები;
- წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემები;
- წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმები.

ამ შემთხვევაშიც მოვითხოვეთ ინფორმაციის რომელიმე ნაწილის გადმოცემლობის შემთხვევაში საფუძვლის მითითებას და კომერციული ინფორმაციის გამოცალკევებას და საჯარო ნაწილის გადმოცემას.

ორივე წერილზე პასუხად მივიღეთ სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიური წერილები, რომლითაც ჩვენი განცხადებები გადაუგზავნა კომპანიებს და სთხოვა “წიაღის შესახებ” კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლო მოკლე ვადაში’ მიეწოდებინათ ‘პოზიცია ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით’.

იქვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ადრესატებს აცნობებდა, რომ „სააგენტო უზრუნველყოფს სხვა პუნქტებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გაცემას“.

არცერთ განცხადებაზე პასუხი არ მიგვიღია და არც სააგენტოს მოუწოდებია რაიმე დოკუმენტი ან დოკუმენტის ნაწილი.

**დღეს არსებული მდგომარეობით წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ გაცემული ლიცენზიები (შესული ცვლილებების ჩათვით) და შესაბამისი ადმინისტრაციული აქტები. მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი და სააგენტოს მიერ შექმნილი დოკუმენტები, მათ შორის, ლიცენზიის პირობების შემოწმების ამსახველი დოკუმენტაციაც კი, სააგენტოს მიერ განიხილება ლიცენზიანტის საკუთრებად.**



2015 წლიდან „მწვანე ალტერნატივა“ გამოსცემს პერიოდულ ანგარიშს „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოში“. გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განხილვისას ვაფასებთ ე.წ. მსხვილი დამბინძურებლების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას და ვაშუადებთ საქმიანობის მასშტაბითა და გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ოთხი გამორჩეული საწარმოს პროფილს. ესენია: არემუჩი, ჯორჯიან მანგანუზი, საქნახშირი და ჰაიდელბერგემენტი.

ეს დოკუმენტი არემუჩის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას აღწერს.

## THE SIGRID RAUSING TRUST

დოკუმენტი გამოცემულია ღია საზოგადოების ფონდების ქსელისა და Sigrid Rausing Trust-ის ფინანსური მხარდაჭერით.



ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის არავითარ შემთხვევაში არ გამოსატავს ღია საზოგადოების ფონდების ქსელისა და Sigrid Rausing Trust-ის შეხედულებებს.



**მწვანე ალტერნატივა**

ავტორი: ნინო გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა, 2022

თბილისი, 0179,  
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული  
ტელ.: 222 38 74  
[GREENALT@GREENALT.ORG](mailto:GREENALT@GREENALT.ORG)  
[WWW.GREENALT.ORG](http://WWW.GREENALT.ORG)